ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 04.10.2019 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №381-ნ
ქ. თბილისი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის 2019 - 2020 სასწავლო წლის ადმინისტრირების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის N11/ნ ბრძანების „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე", ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 13 ივლისის სხდომის N14 დამტკიცებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანის ლევან ჯიქიას 2019 წლის 3 ოქტომბრის N1/3194 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. უნივერსიტეტში, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის 2019 - 2020 სასწავლო წლის ადმინისტრირება უზრუნველყოფილ იქნეს წინამდებარე ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს, სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს, ბუღალტერიას, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანატს.
3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.
4. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

მასწავლებელთა მომზადების პროგრამა
აკადემიური კალენდარი

შემოდგომის I სემესტრი

2019 წლის 11ოქტომბერი - 2020 წლის 22 თებერვალი

სააუდიტორიო მეცადინეობა - **2019 წლის 11 ოქტომბერი - 2020 წლის 8 თებერვალი**
ძირითადი და დამატებითი გამოცდების ჩატარება და შეფასება - **2020 წლის 10 - 22 თებერვალი**
საშობაო არდადეგები - **2019 წლის 31 დეკემბერი - 2020 წლის 7 იანვარი**

უქმე დღეები

სვეტიცხოვლობა - **14 ოქტომბერი** - (ორშაბატი)
გიორგობა - **23 ნოემბერი** (შაბათი)
ნათლისღება - **19 იანვარი (კვირა)**

გაზაფხულის II სემესტრი

2020 წლის 2 მარტი - 11 ივლისი

სააუდიტორიო მეცადინეობა - **2 მარტი - 27 ივნისი**
ძირითადი და დამატებითი გამოცდების ჩატარება და შეფასება - **29 ივნისი - 11 ივლისი**
სააღდგომო არდადეგები - **13 - 20 აპრილი**

უქმე დღეები

დედის დღე - **3 მარტი** (სამშაბათი)
ქალთა საერთაშორისო დღე - **8 მარტი (კვირა)**
ეროვნული ერთიანობის დღე - **9 აპრილი (ხუთშაბათი)**
ფაშიზმზე გამარჯვების დღე - **9 მაისი** (შაბათი)
- წმიდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე - **12 მაისი (სამშაბათი)**
დამოუკიდებლობის დღე - **26 მაისი (სამშაბათი)**